



თბილისი

27 თებერვალი 2019 წ.

### ბრძანება №29-19

#### სტრატეგიული განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ქვეჯგუფში მონაწილეობის მიღება

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში, იქმნება სტრატეგიული განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ქვეჯგუფი, უნივერსიტეტის ორგანიზაციული შეფასებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით. საბჭოს ფარგლებში დაგეგმილია 8 შეხვედრა.

*უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.10.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2016 წლის 23 დეკემბრის №03-16 ოქმის დანართი №1),*

#### ვბრძანებ:

1. 2019 წლის 27 თებერვალს გამოცხადდეს მიღება სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ქვეჯგუფში მონაწილეობის მისაღებად შემდეგი პირებისთვის:
  - ა) უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი
  - ბ) უნივერსიტეტის სტუდენტები.
2. სტრატეგიული განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ქვეჯგუფში მონაწილეობის მისაღებად მსურველ პირთა შერჩევის ძირითადი მოთხოვნები და კრიტერიუმები:
  - ა) უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან შეირჩევა ერთი აფილირებული პერსონალი და ერთი სტუდენტი
  - ბ) კანდიდატების შერჩევისას ყურადღება მიექცევა მათ მოტივაციას.
3. სტრატეგიული განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ქვეჯგუფში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული პირები, ვალდებული არიან დაესწრონ საბჭოს ყველა შეხვედრას.
4. სტრატეგიული განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ქვეჯგუფში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა პირებმა სამოტივაციო წერილი 2019 წლის 27 თებერვლიდან

04 მარტის ჩათვლით, სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩავლით 10:00 სთ-დან - 17:00 სთ-მდე, უნდა შემოიტანოს უნივერსიტეტის კანცელარიაში (მისამართი: კ. ქუთათელაძის №3, I სართული, კანცელარია) ან გამოგზავნონ ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე ([info@sabauni.edu.ge](mailto:info@sabauni.edu.ge)).

5. მსურველი პირების შერჩევაზე ზედამხედველობას განახორციელებს უნივერსიტეტის პრორექტორი (დ. გეგენავა).
6. შერჩეულ მსურველებს შედეგები ეცნობებათ პერსონალურ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.
7. ინფორმაცია სტრატეგიული განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ქვეჯგუფში მონაწილეობის მისაღებედ განთავსდება სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.sabauni.edu.ge](http://www.sabauni.edu.ge)).
8. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე